საქართველოს მთავრობის

დადგენილება №155

2021 წლის 6 აპრილი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოქმედებითი საქართველოს რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კულტურის ეროვნული ფონდის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აგვისტოს №364 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №652 დადგენილების შეჩერების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 თებერვლის №127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოქმედებითი საქართველოს რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კულტურის ეროვნული ფონდის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აგვისტოს №364 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №652 დადგენილების შეჩერების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 თებერვლის №127 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 25/02/2020, 040030000.10.003.021838) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, 2022 წლის 1 იანვრამდე შეჩერებულ იქნეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოქმედებითი საქართველოს რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კულტურის ეროვნული ფონდის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აგვისტოს №364 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №652 დადგენილება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2021 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**